სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის თამარ მახარობლიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**21**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**21**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**10**	**10**
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**88**	**100**

ლევან მურუსიძე

თარიღი: 10.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევან მურუსიძე

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თამარ მახარობლიძის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით საქართველოს საერთო სასამართლოებში 38 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნის მიზნით დაწყებული კონკურსის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატ თამარ მახარობლიძის შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-3 და 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით: **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს	☒	

კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. თამარ მახარობლიძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. თამარ მახარობლიძეს, შესაფასებელ პერიოდში, უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის 18 ფაქტი - დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად. თამარ მახარობლიძეს რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები ახასიათებენ დადებითად. რეკომენდატორები მიუთითებენ კანდიდატის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალ შეგნებაზე, შრომისმოყვარეობაზე, კეთილსინდისიერებასა და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებზე. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ „ძალიან კარგად". იგი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს (არ გააჩნია მიმდინარე საკრედიტო ვალდებულებები და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია). მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. ცფიქრობ, არ არსებობს კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების ისეთი გარემოება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მის მიუკერძოებლობას. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

		მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე, შეუვალობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ დადებითად. მიაჩნიათ, რომ პრინციპული და დამოუკიდებელი ადამიანია. მათივე აზრით, ზეგავლენის მიმართ მედეგია და შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და კვალიფიციურად მიღების უნარი. კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი. მოძიებული ინფორმაციისა და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება რომელიმე კონკრეტული ჯგუფის მიმართ. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი კორექტულობა კოლეგებსა და სხვა პირებთან ურთიერთობისას, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, სასამართლოში წარმართული დავები, სადაც იგი მონაწილეობდა როგორც მხარე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი ბრალდება (ასეთის ფაქტების არსებობის შემთხვევაში) და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, თანამარ მახარობლიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ დგინდება. კანდიდატი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. სასამართლო დავაში მხარედ მონაწილეობა არ მიუღია. რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აღნიშნავენ, რომ იგი არის კოლეგიალური, მეგობრული და თავდაჭერილი პიროვნება. მიაჩნიათ, რომ კოლეგებთან ურთიერთობისას კარგად მართავს საკუთარ ემოციებს. საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მისი პიროვნული და

			პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა. კანდიდატს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები ახასიათებენ მხოლოდ დადებითად. თამარ მახარობლიძე პროფესიულ წრეში მაღალი მორალური და საქმიანი რეპუტაციით სარგებლობს. თამარ მახარობლიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში იძებნება ინფორმაცია მის საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მისი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია შეესაბამება მოსამართლის იმიჯს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი წესით:
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	21	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატს სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტები (ნაშრომი/პუბლიკაცია) არ წარმოუდგენია. იმის გათვალისწინებით, რომ მას სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია და ბოლო პერიოდის განმავლობაში იყო საქართველოს იუსტიციის

		უმაღლესი სკოლის მსმენელი, თამარ მახარობლიძის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასება, გარდა გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებისა, ეყრდნობა იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას. თამარ მახარობლიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი: მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 85/15 რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - მე-9. სამოქალაქო სამართალი - თამარ მახარობლიძეს, გააჩნია მაღალი თეორიული და პროფესიული ცოდნა. სწრაფად და ეფექტურად შეუძლია საკითხის სიღრმისეულად შესწავლა. სამუშაოს ასრულებდა საუკეთესოდ. პრაქტიკულ თვალსაზრისით განვითარებული აქვს ყველა საჭირო უნარ-ჩვევები. არის თავდაჯერებული, კომუნიკაბელური კოლეგიური და გაწონასწორებული. შეუძლია საკითხის სწორად და ცხადად გადმოცემა როგორც ზეპირად ასევე წერილობით. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. ადმინისტრაციული სამართალი - თამარ მახარობლიძე, არის საკმაოდ გაწონასწორებული და გონებაგახსნილი ადამიანი. ასევე მიზანდასახული და საქმისადმი ერთგული. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. აქვს უნარი ადამიანები მის მიმართ განაწყოს პატივისცემით და ნდობით. არის კორექტული. ახალ ინფორმაციას და მასალას ძალიან ადვილად ითვისებს და აანალიზებს. სტაჟირების პერიოდში თავი გამოიჩინა როგორც კომუნიკაბელურმა ადამიანმა. გამოირჩევა ტაქტიანობით და არასოდეს გასცდენია ეთიკის ნორმებს. აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. სისხლის სამართალი - თამარ მახარობლიძეს, აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული

			გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება, პიროვნული თვისებები და უნარები სრულ შესაბამისობაშია სამომავლოდ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებასთან. თამარ მახაროblიძე არის ზრდილობიანი, გაწონასწორებული, კომუნიკაბელური ორგანიზებული პიროვნება. რეკომენდირებულია მან იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკურ საკითხების სიღრმისეულ შესწავლაზე, რაც გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას თამარ მახაროblიძემ გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის თუ საერთაშორისო სამართლისა და პრაქტიკის ცოდნის სათანადო დონე. უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროს მიკუთვნებული თითქმის ყველა საკითხი განიხილა კვალიფიციურად და ამომწურავად. კანდიდატი ძირითადად თავისუფლად მსჯელობდა საკონსტიტუციო სამართლებრივ საკითხებზეც. შესწავლილი მასალისა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების საერთო ანალიზის შედეგად, მიმაჩნია, რომ ის ფლობს საკმარის ცოდნას სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისათვის.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	21	25	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს სამართლებრივ ხასიათის დოკუმენტები არ წარმოუდგენია და მოცემული მახასიათებლით მისი შეფასებისას ვითვალისწინებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ზემოხსენებულ შეფასებას. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის გათვალისწინებით კანდიდატი საკმაოდ ვრცლად, ძირითადად არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად ავითარებს სამართლებრივ მსჯელობას საკონსტიტუციო სამართლის და სისხლის სამართლის პრობლემურ საკითხზე, მათ შორის ამომწურავად ისაუბრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ირგვლივ. ნაკლებად დამაჯერებელი იყო სამოქალაქო სამართლებრივ საკითხებზე გაცემული პასუხები.

			საჯარო მოსმენისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების გათვალისწინებით მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია, ნათლად გამოკვეთოს შესაბამისი სამართლებრივი პრობლემა და განავითაროს დასაბუთებული მსჯელობა საჭირო მიმართულებით. მიმაჩნია, რომ მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. ხოლო ზეპირი კომუნიკაციისას - გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა. საჯარო მოსმენისას მიღებული შთაბეჭდილება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წარმოდგენილი შეფასებიდან ჩანს, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემა წერილობით. მისი წერილობითი მსჯელობა რაციონალური და თანმიმდევრულია. გასაუბრებიდან ჩანს, რომ კანდიდატი ფლობს ზეპირი კომუნიკაციის უნარს. მეტყველებს გამართულად და აზრს აყალიბებს თანმიმდევრულად. მას აქვს განსხვავებული აზრის მოსმენისა და მისი მიმღეობის უნარი. ჩემის აზრით, კანდიდატი მეტყველებს გამართულად.
პროფესიული თვისებები	13	15	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, მენეჯერული უნარები და სხვა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები მიიჩნევენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პუნქტუალურობით, დისციპლინირებულობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინეობით. გამოკითხულ პირთა აზრით, აქვს გუნდური მუშაობის, ასევე სტრესული სიტუაციებში გამართული საქმიანობის თვისებები. მიმაჩნია, რომ მას სრულად აქვს გაცნობიერებული სასამართლო სისტემაში საქმიანობის ტვირთი და მნიშვნელობა. კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ

			რაიმე ინფორმაცია. ყოველივე აღნიშნული კანდიდატის დადებითად შეფასების საფუძველს იძლევა.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა. კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი იყო ტრენერი თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტთან არსებული თინათინ წერეთლის სახელობის სამეცნიერო საზოგადოების მიერ ჩატარებულ ტრენერთა ტრენინგში. ტრენერი ტრენერთა ტრენინგში საგრანტო პროექტში - „მომავალ თაობაში იურიდიული განათლების მიღების ხელშეწყობა სამართლებრივი სახელმწიფოს უსაფრთხოებისა და მისი ინსტიტუციური განვითარებისათვის" - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023წ. პროფესიული კუთხით გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები: • სტატია - „არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და სასჯელთა სახეები", პოლონურ-ქართული სამართლის მიმოხილვა, N2/2016, ვარმიისა და მაზურის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016წ.; • სტატია - შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში", „გურამ ნაჭყებია 75", საიუბილეო კრებული, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", 2016წ.; • სტატია - „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში", ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები", №1, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2017წ.; • სტატია - „არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები", ჟ. „სისსლის სამართლის აქტუალური

			საკითხები", №2, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2017წ. და სხვა. • თავი წიგნში - „სასჯელები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით", არასრულწლოვანთა კანონმდებლობის ანალიზი და სასამართლო პრაქტიკა, გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2017წ.; • „არასრულწლოვანთა სასჯელების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები", გამომცემლობა „ბონა კაუზა", თბილისი, 2023წ. კანდიდატი კარგად ფლობს ინგლისურ ენას. დაცული აქვს იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. მას მიღებული აქვს სასწავლო სტიპენდიები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში: • DAAD სასწავლო სტიპენდია, გერმანია, ვიადრინას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2016; • ადამ მიცკევიჩის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდია, პოლონეთი, პოზნანი - 2017; • კარლ ებერტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სტიპენდია, გერმანია, ტუბინგენი - 2017; • შვედეთის მთავრობის სასწავლო სტიპენდია, შვედეთი, ლუნდის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2019. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ იგი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბოლო პერიოდში ინტენსიური სწავლების კურსს. მიმაჩნია რომ, კანდიდატი განსწავლული და მიზანდასახულია, აქვს თვითგანვითარებისაკენ მისწრაფება და ღია პროფესიული სიახლეებისადმი.
პროფესიული აქტივობა	5	5	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მისი დამსახურება და სხვა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: ✓ 2017 წლის სექტემბრიდან - დღემდე - მოწვეული ლექტორი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

			იურიდიული ფაკულტეტი; ✓ 2022 წლის აგვისტოდან - დღემდე - ასოცირებული პროფესორი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი; ✓ 2018 წლის თებერვალი - 2022 წლის ოქტომბერი - ასისტენტი, მოწვეული ლექტორი - ალტე უნივერსიტეტის სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა; ✓ 2018 წლის მარტი - 2020 წლის მარტი - მოწვეული ლექტორი - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი; თამარ მახარობლიძეს ბოლო პერიოდში მონაწილეობა აქვს მიღებული რამოდენიმე პროფესიულ ტრენინგში. მიმაჩნია, რომ მისი პედაგოგიური და თეორიული აქტივობა ცხადყოფს, რომ კანდიდატი მუდმივად იმაღლებს პროფესიულ მზაობას და იუმჯობესებს საჭირო უნარ-ჩვევებს, იღებს მისთვის აუცილებელი ცოდნასა და საჭირო ინფორმაციას.
ქულათა ჯამი	88	100	

ლევან მურუსიძე

თარიღი: 10.12.2024